ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3469179

ნომერი: AR1531658

თარიღი : 10.08.2017

გაცემის თარიღი : 14.08.2017

გაცნობის თარიღი : 14.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისი - სატვირთო , (ნაკვ. 02/017) / ქალაქი თბილისი , თორნიკე ერისთავის ქ. N2/4-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა თ. ერისთავი , N 2/4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე კოკოლაშვილი პ/ნ 01008017172
- ო. ლორთქიფანიძის ქ. #1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 აგვისტოს AR1531658 განცხადებით მომართეს, ეკატერინე კოკოლიშვილმა და ილგარ სადიგოვმა, რომლებმაც მოითხოვეს ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ, ქ.თბილისში, თ.ერისთავის ქუჩა N2/4-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.06.002.009, ფართობი: 5667კვ.მ) მრავალფუნქციური ცენტრის

(სავაჭრო, საგამოფენო, საოფისე) განთავსების მიზნით დადგინდა ქალაქთმშენებლობითი პირობები.
ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 15 სექტემბრის #3701 ბრძანებით, N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში შევიდა ცვლილება და დაფიქსირდა საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N01/13/06/002/030, ფართობი:10810 კვ.მ).
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 აპრილის №2534295 ბრძანებით, ისე შევიდა ცვლილება ხსენებულ ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდა განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.13.06.002.057, ფართობი: 10810 კვ.მ).
ამჟამად, განმცხადებლები ითხოვენ, ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას კერძოდ, განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებას, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.069, ფართობი: 10810 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: N882017576279, თარიღი 30/06/2017) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი:N 882017576279; 30/06/2017);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 13 ივნისის N6133 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.